საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/03

ქ.თბილისი

„09" თებერვალი 2018 წ.

გერმანული კომპანია „Rohde&Scwartz GmbH & Co. KG" -სგან ROMES/NPA პროგრამული კომპლექსის და TSMW სპექტრის ფართოზოლოვანი ანალიზატორის გაუმჯობესებული პროგრამული პაკეტების და ახალი ოფციების შესყიდვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ, „Rohde&Scwartz GmbH & Co. KG"-სგან 1 (ერთი) წლიანი გაუმჯობესებული პროგრამული პაკეტების და ახალი ოფციების გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. SPA120024502 ელექტრონული ტენდერის საშუალებით 2013 წელს შეძენილი (შესყიდვის ღირებულება 293,000.00 ლარი) GSM, CDMA, UMTS, WiMax, LTE ტექნოლოგიების მონიტორინგისათვის განკუთვნილი ROMES/MPA პროგრამული კომპლექსის და TSMW სპექტრის ფართოზოლოვანი ანალიზატორის პროგრამული პაკეტების (ROMES4N19; ROMES4N21; ROMES4N30; ROMES4N31; TSMW-K30; TSMW-K31) შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის (საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად) საფუძველზე;
2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფს (ლ.გაგუა) აღნიშნული შესყიდვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
3. შესყიდვის ღირებულება განისაზღვროს „Rohde&Scwartz GmbH & Co. KG"-ს შემოთავაზების მიხედვით, რაც შეადგენს 13,836.80 (ცამეტი ათას რვაას ოცდათექვსმეტი ევრო და 80 ცენტი) ევროს (Incoterms 2010 – CIP Tbilisi Int. Airport) საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე;
4. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან" შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფმა (ლ.გაგუა) უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება გერმანულ კომპანია „Rohde&Scwartz GmbH & Co. KG"-სთან 1 (ერთი) წლიანი გაუმჯობესებული პროგრამული პაკეტების და ახალი ოფციების შესყიდვის მიზნით;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

ბრძანების გამოცემის საფუძველი: *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N შ.10/583.18; 01.02.2018 წ.)*

კომისიის თავმჯდომარე — კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოქორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge